სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდახუთი წლის შვიდ თებერვალს მე, ნოტარიუსს ლალი ჯანუყაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მირიან მეფის ქუჩა #53ა, მე-2 სართული, მომმართა შპს სანთომი დიდი დიღომი (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: : 821126433, 16/12/2021, საიდ. კოდი: 405498634) დირექტორმა აკაკი ჩივაძემ(შემდგომში "მიმნდობი"), რომელმაც განაცხადა, რომ სურს, მინდობილობა შედგენა და მისი დამოწმდეს სანოტარო წესით.
მე დავადგინე მისი პირადობა და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად აკაკი ჩივაძემ (დაბ.21.10.1990წ., პ/ნ 31001048069, რეგისტრირებული მცხეთა ს. ძეგვი მე-20 ქ. N 8) მომმართა.
მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, გარიგების შინაარსი და შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, მიმნდობმა წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ წინამდებარე მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდგომ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს სანთომი დიდი დიღომის (საიდ. კოდი: 405498634) დირექტორი აკაკი ჩივაძე, შემდეგში `მიმნდობი" ირაკლი მაზიაშვილს (დაბ. 01.05.1986წელს, პირადი №01024037393, რეგ. მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 15, ბინა 16)შემდეგში `მინდობილს~, ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებებს:

უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ს/კ 01.10.08.005.187 იყოს ჩემი წარმომადგენელ ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, მერიაში, მერიის არქიტექტურის, მუნიციპალური ინსპექციის სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მერიის ქონების მართვის სამსახურში, ასევე მერიის ნებისმიერ სამსახურში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია ყველა პირისაგან, დაწესებულებისაგან, წარადგინოს პროექტი შესათანხმებლად, შეიტანოს პროექტში ცვლილება-კორექტირება, განაახლოს პროექტი, აღადგინოს, გააგრძელოს ვადა, ჩააბაროს, მიიღოს ყოველგვარი ნებართვა, მათ შორის მშენებლობის ნებართვა, დააზუსტოს ფართობი, შეიტანოს ყოველგვარი განცხადება და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები, ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.
მინდობილობა გაცემულია ათი წლის ვადით

ნინამდებარე მინდობილობა შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლ. ჯანუყაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში. დანარჩენი გადაეცათ მხარეებს. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მე, ნოტარიუსმა ლალი ჯანუყაშვილმა, მიმნდობმა მოიწონა მინდობილობა და პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი მას.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 30.0 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" 31-ე მუხლის მე-8 პუნქტისა, აგრეთვე ხუთი ლარი, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის I პუნქტისა და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად 5,40 ლარი.

მიმნდობი _____



სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

10554448530525

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250140948

რეგისტრაციის თარიღი

07.02.2025 წ

ნოტარიუსი: ლალი ჯანუყაშვილი

მისამართი: თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის ქ. 53ა, II სართული

ტელეფონი: 595477133

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18